საქართველო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, Sh.Rustaveli Str., Senaki, Georgia

Tel.: 0413 27 60 60, 27 50 16
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address : www.senaki-sakrebulo.gov.ge

№ 19

28 მაისი 2021 წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგაბესკირიოს "უსახელო ქუჩის სახელდების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,პ" ქვეპუნქტის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-4 მუხლის ,,ე" პუნქტის, მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის ,,დ" ქვეპუნქტის, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის დინარა ხარბედიას მოხსენებითი ბარათის (სარეგისტრაციო №41-41210643) და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის 2021წლი 13 მაისის № 25 სხდომის ოქმის შესაბამისად სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო **განკარგულება:**

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ საგაბესკირიოს უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ სამ ჩიხს მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის **,,გურამ გაბესკირიას "** სახელი. (ორთოფოტო თან ერთვის).
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულების მიღებიდან ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების, რუკების (არსებობის შემთხვევაში) ცნობარების და სხვ. დამზადება, კორექტირება, გავრცელება და სხვ.).
3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს დაევალოს განკარგულების მიღებიდან 10 დღის ვადაში საკრებულოს გადაწყვეტილება გაუგზავნოს სსიპ-საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ-სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, აგრეთვე უზრუნველყოს სამართლებრივი აქტის გამოქვეყნება ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე.
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ.№247).

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი — ბადრი კალანდარიშვილი


W
E
S
4690500
4690500
x _ 256492
y _ 4689513
გურამ გაბესაირია ქუჩის III ჩიხი
გურამ გაბესაირია ქუჩის I ჩიხი
გურამ გაბესაირია ქუჩის II ჩიხი
გურამ გაბესაირიას ქუჩა
გურამ გაბესაირიას ქუჩა
x _ 254247
y _ 4687561
WGS 84/UTM Zone 38N
1:20 000